№ 4 6 იანვარი, შაბათი 1866—1879 6 იანვარი, შაბათი № 4

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

**ნათლის-ღების დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი „დროებისა“ გამოვა მომავალ სამშაბათს, 9 იანვარს.**

---

**ამ 1879 წელს გაზეთი**

## „დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

**ხელის-მოწერა**

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: ***Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.***

**გაზეთის ფასი**

| | |
|---|---|
| მთელის წლისა — — | 8 მან. |
| ექვსის თვისა— — — | 5 მან. |
| სამის თვისა — — — | 3 „ |
| ერთის თვისა— — — | 1 „ |

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

### რედაქციისაგან

ზოგიერთი ჩვენი ხელის-მომწერლები, წინა წლების მიხედვით, წელსაც ნახევარი წლის ფულს 4 მანეთს და 4 მანეთსა და ათ შაურს იგზავნებიან და არა ხუთ მანეთს, როგორც რამდენჯერმე იყო გამოცხადებული და ახლაც ვაცხადებთ ხოლმე გაზეთში.

საჭიროდ ვრაცხთ ვაცნობოთ ამ გვარ ხელის-მომწერლებს, რომ ვისაც 4 მანეთი აქვს რედაქციაში შემოტანილი, იმათ მხოლოთ ამ წლის 1 ივნისამდის მიუვათ გაზეთი და ვისაც 4 მან. და 50 კაპ., იმათ კი ივლისის 15 რიცხვამდინ, თუ დანაკლისს ფულს არ შემოიტანენ.

## საქართველო

### დღიური

*** გუშინდელს „დროებაში“, სხვათა შორის, მოყვანილი იყო პატარა შენიშვნა იმის თაობაზედ, რომ ნამესტნიკის რჩევაში გუშინ უნდა ყოფილიყო სჯა იმ აქციონურ საადგილ-მამულო ბანკის პროექტზედ, რომლის დაარსებასაც აპირებენ ჩვენს ქალაქში.

ჩვენ შევიტყეთ ახლა, რომ მთავარმმართებლის რჩევას უარი უთქვამს ამ პროექტის დამტკიცებაზედ.

ჩვენ გვითხრეს ამასთანავე, რომ ამ ბანკის პროექტზე არც თ. გრ. ორბელიანს და არც გრაფ ადლერბერგს, როგორც გუშინ მოვიხსენიეთ, ხელი არ ჰქონიათ მოწერილი; ამ ბანკის დამაარსებლებად ითვლებიან თ. ნ. მინგრელსკი და ინჟინერი პალაშკოვსკი, რომელთაც მხოლოთ უწერია ხელი წესდების პროექტზედა.

შესაძლებელია, რომ ეს, აქ დაწუნებული, პროექტი პეტერბურღში დაამტკიცონ,—და რადგან ამ აქციონური ბანკის დაარსებას ჩვენს საადგილ-მამულო საქმეებზედ, უეჭველია, დიდი გავლენა ექნება, ამიტომ ჩვენ კიდევ მალე დაუბრუნდებით ამ საგანს და უფრო ვრცლად მოვილაპარაკებთ იმაზედ.

*** გუშინდელსავე „დროებაში“ იყო აგრეთვე დაბეჭდილი მ. ეგნატე მღიევის წერილი, რომელშიაც ავტორი თავით ფეხებამდინ შეამკობს წმ. ნინოს სასწავლებლის ქართულის ენის მასწავლებელსა; აქებს იმის სწავლის მეთოდს, შეამკობს იმის ცოდნას ქართულის ენისას, შეამკობს იმის მეცადინეობას და სხვ. და სხვ.

წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, როდესაც დღეს ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ წერილის ავტორი მღვდელი ეგნატე მღიევი ყოფილა იგივე მასწავლებელი

---

## ფელტონი

### ახალი ქვეყნის ამბავი

(სიზმარში და ცხადში ნან. ხი)

(დასარული)

არტაანიდამ რომ იაროდ ერთი დღენახევარი დასავლეთზე, მიხვალთ ერთ პატარა ქალაქში. ეს პატარა ქალაქი ძველად ჩვენი ყოფილა, ახლაც ჩვენი გახდა. თუ ჩვენია კიდევაც უნდა ვიცოდეთ, რა ქალაქია. აი აგიწერთ:

ქალაქი დგას ერთი დიდი მთის— მარსხეთის კალთაში. აღმოსავლეთით ჩამოუდის მდინარე არდანუჯ-ჩაი, რომელსაც ისე ჩაუღრმავებია თავისი სავალი, რომ გაუჩენია ძალიან ღრმა უფსკრულები და მაღალი თვალ-აუწვდელი კლდები; იმ ღელეში დგას რამთონიმე წისქვილები და ორ ალაგას გადადებულია იმაზე ხიდები. ერთ ხიდსა ჰქვიან შეითან—ქოფრუსი—ეშმაკის ხიდი: აქაურების სიტყვით, ეს ხიდი თამარ დედოფლის ნაშენიაო. ღელიდამ ორი ბილიკი აგიყვანსთ ქალაქის ალაყაფის კარებამდე. სანამ იმ კარებთან მიხვიდოდეთ გზაზე სამჯერ უნდა დაისვენოთ.

თვითონ ქალაქი შემოზღვდულია ძველი ქვითკირის კედლით, რომლის კუთხეებში ყოფილა კოშკები; ახლა ისინი აღარ სუფევენ, იმათი ნაშთები არის. პირველ კარიდგან რომ შეხვალთ ნახავთ ბაზარს, შემდგარს ორმოც-და-ათი მიკრეხილ-მოგრეხილი დუქნებისაგან. ალაყაფის კარები თათრებს განუახლებიათ. კარებს ზეით თათრული ნაწერია, რომელიც თავის დღეში არ წაიკითხება. ბაზრის შემდეგ იწყობა სახლები და სულ მაღლა და მაღლა ადის.

ლამაზი ქუჩები აქვს ამ პატარა ქალაქუნას! სახლები ისე ახლო-ახლოა ერთმანერთთან, გეგონება ერთი დედისაგან არიან ნაშობნი და იმისთანა სიყვარული აქვთ ერთ-მანერთისა, რომ ერთი არშინი და ნახევარი სიშორეს ვერ უძლევენ. ქუჩები ბუნებით შოსსეს წარმოადგენენ, რადგან ადგილი სულ კაჟ-ქვიანია.

ზოგან ამ ქუჩებზე, „უკვლო წყაროა“ და ზოგანაც თვითან მცხოვრებლები ყოველ გვარის და ფერის წყლებით ყოველ დილაზე რწყამენ....

სახლები ხისა და ქვითკირისა იციან ორ-სამ სართულიანი საოცარი ბალკონებით. მეორე ალაყაფის კარებიდამ რომ შეიაროთ, იქვე ნახავთ თათრების მეჩითს მაღალი მინარით და მეჩითის წინ სასაფლაოს. შიმისოთ ვიწრო ქალაქს მკვდრები უფრო ავიწროებენ.

ქალაქის ზედა ნაწილი თავდება ღვინის მარნებით; ცოტა აქედამ ზეით მაღალ-ფრიალა კლდეა, რომელიც დგას ძველი მგზავსათ მარტივათ და არწივი ვით გადმოჰყურებს მაღლიდგან. ზედ კლდეზე ძველი ციხის ნაშთია. ასავალი გზა არსაიდგან არა აქვს, ერთის მეტი, ისიც კიბით უნდა ავიდეს კაცი. ეს ასავალიც იმისთანა უფსკრულს გადაჰყურებს, რომ იქ ასვლა დიდ შიშ-კანკალად ულირსთ. ბევრჯერ მინდოდა გაზომვა ამ უფსკრულის სიღრმისა, ასავლის სიმაღლესი, მაგრამ ვერ გავბედე ასვლა—ვერ მივანდე სული ხის კიბეს. მაინც ცნობის მოყვარეობამ დასძლია და ერთხელ დავადგმევინე იაკობ მამა-მთავრის კიბე და ავ-

